ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4617994

ნომერი: AR1695657

თარიღი : 18.07.2019

გაცემის თარიღი : 08.08.2019

გაცნობის თარიღი : 12.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დავით ბატონიშვილის ქუჩა, N 62;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა ბერიძე პ/ნ 31001005897
- მცხეთა კ.არსუკიძის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 იანვრის #№3029863 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 18 ივლისის AR1695657 განცხადებით მომართა შორენა ბერიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 17 იანვრის #№3029863 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 იანვრის #№3029863 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დავით ბატონიშვილის ქუჩა, N62 -ში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.72.14.044.159 (1000 კვ.მ) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა ნაკვეთის დაყოფა, რის შედეგადაც წარმოიშვა ორი ნაკვეთი N 01.72.14.065.215 და N 01.72.14.065.214

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 17 იანვრის #№3029863 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილბის შეტანა და ახალი N 01.72.14.065.215 საკადასტრო კოდის დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2017 წლის 17 იანვრის #№3029863 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 იანვრის #№3029863 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.72.14.065.215 ფართობი 500 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #: 882019360531; რეგისტრაციის თარიღი 28/05/2019 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882019360531, რეგისტრაციის თარიღი 28/05/2019 წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 იანვრის #№3029863 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (გაითვალისწინეთ, რომ N01.72.14.065.214-მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით დაგჭირდებათ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.)

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.